

ვადასტურებ  
დავით ტვილდიანის სამედიცინო  
უნივერსიტეტის  
რექტორი:

03.01. 2018

დეფნი ჰეარის სახ. სამედიცინო ბიბლიოთეკის შინაგანაწესი

1. ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათი - შაბათი : 10.00- 20.00 ს.
2. ბიბლიოთეკა ემსახურება "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის"-ს სტუდენტებს და პედაგოგებს, აგრეთვე გარეშე პირებს. ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოა.
3. ბიბლიოთეკაში ჩაწერისათვის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სტუდბილეთი, გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და გაიაროს რეგისტრაცია, ხოლო გარეშე პირები წერენ განცხადებას რექტორის სახელზე.
4. ბიბლიოთეკაში არსებული გამოცემების ნაწილი ( ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ატლასები ) გაიცემა მკითხველზე მხოლოდ სამკითხველო დარბაზში სარგებლობისათვის. საჭიროებისამებრ მიიღება წინასწარი დაკვეთები წიგნის მთლიანად ან ცალკეული მონაკვეთების ფასიანი ქსეროასლის დამზადებაზე.
5. ბიბლიოთეკიდან ლიტერატურის გატანა შესაძლებელია ხანგრძლივი და ხანმოკლე ვადით. წიგნები, რომლებიც ინახება ბიბლიოთეკაში რამდენიმე ეგზემპლარად ხელზე გაიცემა ხანგრძლივი ვადით (არაუმეტეს 3 დღისა). ამ შემთხვევაში გატანილი ლიტერატურა რეგისტრირდება მკითხველის ბარათზე მკითხველის ხელმოწერით. ხანმოკლე ვადით (სამკითხველო დარბაზში, ქსეროკოპირების განყოფილებაში, გაკვეთილზე) გატანილი ლიტერატურა რეგისტრირდება წიგნის ფორმულარზე მკითხველის ხელმოწერით.
6. სტუდენტი ვალდებულია დაფაროს საბიბლიოთეკო დავალიანება სემესტრულ გამოცდამდე ერთი კვირით ადრე.
7. იმ შემთხვევაში თუ მკითხველი დააზიანებს, ან დაკარგავს წიგნს, ის ვალდებულია აანაზღაუროს მისი ღირებულება ან ჩაანაცვლოს იგივე გამოცემით.
8. სტუდენტს აქვს უფლება ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერებით მიზნობრივად.
9. მკითხველი ვალდებულია: დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და წესრიგი ბიბლიოთეკაში
10. ბიბლიოთეკის თანამშრომლები უფლაბამოსილები არიან არ მოემსახურონ მკითხველს, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ წესებს.